



ოდა ქეარ

ა(ა)იპ „ოდა ქეარ“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოდა ქეარ“

საიდენტიფიკაციო კოდი : 437373156.

მისამართი: საქართველო, დაბა ჩოხატაური,

ი. ჭავჭავაძის ქ. N1 ელ. ფოსტა: s.gudavadze@gmail.com

ტელ.: 555000864

№ 20

14.11.2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ, ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგმართავთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ოდა ქეარ“-ის სახელით. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება 8 აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვი.

მოგახსენებთ, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობა (შემდგომში აუტიზმი) სიხშირით ყველაზე მზარდი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა, რაც უმრავლეს შემთხვევაში, გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუტიზმის მქონე პირის, მისი ოჯახისა და მზრუნველის ცხოვრების ხარისხზე, ზრდის მათ სოციალურ მოწყვლადობას.

აუტიზმის გავრცელების მაჩვენებლებმა უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მკვეთრად მოიმატა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 160-დან 1 ბავშვს აქვს აუტიზმი (WHO, 2013). მზარდმა პრევალენტობამ მოითხოვა სადიაგნოსტიკო და ფსიქოსოციალური სერვისების განვითარება.

პრობლემის აქტუალობის გამო ლტოლვილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს დამტკიცდა დაავადებათა მართვის

18 11

ბავშვს აქვს აუტიზმი (WHO, 2013). მზარდმა პრევალენტობამ მოიწოდებს სადიაგნოსტიკო და ფსიქოსოციალური სერვისების განვითარებას.

პრობლემის აქტუალობის გამო ლტოლვილთა, შრომის, ჯანმრთელობის სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს დამტკიცდა დაავადებათა მკურნალობის პროტოკოლი „აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა“, რომლის რეკომენდაციები დანერგული უნდა იყოს აუტიზმის მქონე მკურნალობის, საგანმანათლებლო და სოციალურ სერვისებში.

აუტიზმისთვის დამახასიათებელია რეცეპროკული სოციალიზაციის და სოციალური კომუნიკაციის თვისებრივი ცვლილება, შეზღუდული ინტერესები, რიგიდურობა, განმეორებადი ქცევა, ცვლილებებისადმი რეზისტენტობა. ამასთან აუტიზმის სპეციფიკური ნიშნებთან ერთად შესაძლოა გამოვლინდეს სამედიცინო, სენსორული, კოგნიტიური, ენისა და მეტყველების, ემოციური და ქცევის პრობლემები. მათ შორის რუტინის საჭიროება, სხვა ადამიანების სურვილების, გრძნობებისა და აზრების გახიზნვა და გათვალისწინების სირთულე, ძილისა და კვების დარღვევა, თვითდამაზიანებელი აგრესიული, რთული ქცევა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები როგორცაა შფოთვის, დეპრესია, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა.

აუტიზმისთვის დამახასიათებელი ქცევა ადრეულ ასაკშივე ვლინდება, შესაძლებელია გარემოს ცვლილების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეყვანისას გახდეს თვალსაჩინო. აუტიზმის შესაძლოა ფსიქიკური ჯანმრთელობის სულ ცოტა ერთი აშლილობა მაინც აღმოჩნდეს (შემთხვევათა 70%-ში), რაც კიდევ უფრო ამძიმებს აუტიზმის მქონე პირების ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას. მაგალითად, ინტელექტუალური დარღვევა (შფოთვითი აშლილობა ან ჰიპერკინეტიკური აშლილობა აუტიზმის მქონე პირების დაახლოებით 50%-ს აღენიშნება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა და ქცევის მართვის კუთხით კლინიკური დამტკიცებულია ქცევის გამოყენებითი ანალიზი (ქგა), იგივე ABA (Applied Behavior Analysis) თერაპიის ეფექტურობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი წინსვლა მოახდინოს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის კუთხით.

მოგახსენებთ, რომ გურიის რეგიონში „ოდა ქეარ“-ი და ჩხეთის რესპუბლიკის კასპის საქართველოში, ილიას უნივერსიტეტის ტრენერების ხელმძღვანელობით ამა წლის ნოემბრიდან იწყებს ABA სპეციალისტების გადამზადებას, რომელთაც შეუძლია თერაპიის სერვისის შეთავაზება. ABA თერაპიის ეფექტურობას განსაზღვრავს სისტემური და ინტენსიური მიწოდება, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას დაკავშირებული თითოეული ოჯახისთვის. სწორედ ამიტომ, მოგმართავთ ორგანიზაციის „ოდა ქეარ“-ის სახელით დააფინანსოთ ინტენსიური ABA თერაპიის კურსი აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის, როგორც ეს ხდება თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის ბათუმის მუნიციპალიტეტების მიერ.

იმედი გვაქვს თქვენი მხარდამჭერის საჭიროებებზე მორგებული სერვისების განვითარების კუთხით.

ასევე გიგზავნით აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროგრამის აღწერილობას. გთხოვთ იხილოთ თანდართული დანართი N 1.

პატივისცემით,

„ოდა ქეარ“-ის დირექტორი
სალომე გუდავაძე



დანართი N1

პროგრამის დასახელება

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის მიზანი

გურიის მხარეში მცხოვრები აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფუნქციური დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისთვის ფსიქო-სოციალური ინტერვენციის სერვისით უზრუნველყოფა მუნიციპალური პროგრამის განხორციელების გზით.

პრობლემის აღწერა

აუტიზმის სპექტრის აშლილობა (შემდგომში აუტიზმი) სინშირით ყველაზე მზარდი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა, რაც უმრავლეს შემთხვევაში, გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუტიზმის მქონე პირის, მისი ოჯახისა და მზრუნველის ცხოვრების ხარისხზე, ზრდის მათ სოციალურ მოწყვლადობას.

აუტიზმის გავრცელების მაჩვენებლებმა უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მკვეთრად მოიმატა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 160-დან 1 ბავშვს აქვს აუტიზმი (WHO, 2013). მზარდმა პრევალენტობამ მოითხოვა სადიაგნოსტიკო და ფსიქოსოციალური სერვისების განვითარება.

ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობის ადრეული დაწყება მნიშვნელოვნად ამცირებს შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების რისკს და სიმძიმეს, რაც თავის მხრივ ამცირებს როგორც ოჯახის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკურ ტვირთს.

პრობლემის აქტუალობის გამო ლტოლვილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს დაამტკიცდა დაავადებათა მართვის პროტოკოლი „აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა“, რომლის რეკომენდაციები დანერგილი უნდა იყოს აუტიზმის მქონე პირთა სამკურნალო, საგანმანათლებლო და სოციალურ სერვისებში.

პროგრამის აღწერა

1. პროგრამის საჭიროება:

აუტიზმისთვის დამახასიათებელია რეციპროკული სოციალიზაციის და სოციალური კომუნიკაციის თვისებრივი ცვლილება, შეზღუდული ინტერესები, რიგიდული და განმეორებადი ქცევა, ცვლილებებისადმი რეზისტენტობა. ამასთან აუტიზმისთვის სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად შესაძლოა გამოვლინდეს სამედიცინო, სენსორული, კოგნიტური, ენისა და მეტყველების, ემოციური და ქცევის პრობლემები. მათ შორისაა

რუტინის საჭიროება, სხვა ადამიანების სურვილების, გრძნობებისა და აზრების გაგებისა და გათვალისწინების სირთულე, მილისა და კვების დარღვევა, თვითდამაზიანებელი ან აგრესიული, რთული ქცევა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორცაა შფოთვა, დეპრესია, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა.

აუტიზმისთვის დამახასიათებელი ქცევა ადრეულ ასაკშივე ვლინდება, მაგრამ შესაძლებელია გარემოს ცვლილების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეყვანისას გახდეს თვალსაჩინო.

აუტიზმს შესაძლოა ფსიქიკური ჯანმრთელობის სულ ცოტა ერთი აშლილობა მაინც ახლდეს (შემთხვევათა 70%-ში), რაც კიდევ უფრო ამძიმებს აუტიზმის მქონე პირის ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას. მაგალითად, ინტელექტუალური დარღვევა ($IQ < 70$), შფოთვითი აშლილობა ან ჰიპერკინეტიკური აშლილობა აუტიზმის მქონე პირთა დაახლოებით 50%-ს აღენიშნება.

კლინიკური სურათი განსწავვებულია და დამოკიდებულია აუტიზმის სიმძიმეზე, თანმხლებ დარღვევებსა და კოგნიტურ უნარებზე. ასევე, ასაკის მატებასთან, გარემოს ცვლილებასა და ახალ მოთხოვნებთან, ინტერვენციასა და თანმხლებ დარღვევებთან ერთად იცვლება აუტიზმის კლინიკური გამოვლენა.

აუტიზმის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ მათი მდგომარეობის მართვა, რაც დაფუძნებული იქნება შეფასების, დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებზე.

1.1. სადიაგნოსტიკო შეფასება

აუტიზმის ადრეული მკურნალობისთვის საჭიროა ადრეულ ასაკში ამოცნობის ხელშეწყობა, რისთვისაც საჭიროა არსებობდეს აუტიზმის დიაგნოსტიკის პროგრამა. პროგრამა სასურველია რომ იყოს ვაუჩერული და გამოყენებული იყოს 2 ტიპის ვაუჩერი:

- პირველადი ვაუჩერი, რაც ითვალისწინებს ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაციას და სკრინინგულ შეფასებას;
- მეორადი ვაუჩერი, რაც მოიცავს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტით (აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით - ADOS-ით) შეფასებას და ფსიქიატრის განმეორებით შეფასებას.

ორი ვაუჩერის არსებობის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აუტიზმზე საექსპო ყველა შემთხვევა, შესაძლოა არ საჭიროებდეს ღრმა კვლევას. ამიტომ სასურველი თანაფარდობაა პირველადი ვაუჩერი 20%-ით (1/5-ით) მეტი უნდა იყოს, ვიდრე მეორადი, (მაგ. თუ მეორადი არის 18, პირველადია 15).

1.2. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ზრდასრულთა ასაკში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა რაოდენობის და მძიმე ხარისხის შემთხვევათა შემცირებისთვის საჭიროა არსებობდეს აუტიზმის სპექტრის

აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ვაუჩერის მინიმალური პაკეტი უნდა მოიცავდეს თერაპიის 20 საათს/თვეში.

ორივე პროგრამა სასურველია იყოს ვაუჩერული, რაც მშობელს/ოჯახს სერვის-პროვაიდერის თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემს და ხელს შეუწყობს სფეროს განვითარებას.

2. განხორციელების გზები

პროგრამის განხორციელების ეტაპები

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამის ამოქმედება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი - 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი

ამ ეტაპის ხარჯებს სრულად დაფარავს „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“.

გურიის მხარეში აუტიზმის მქონე ბავშვთა რაოდენობის დაზუსტების მიზნით მოხდება ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკური შეფასება:

1. გურიის მხარეში აუტიზმის ან მასზე ეჭვის მქონე 20 ბავშვს ჩაუტარდება სადიაგნოსტიკო კვლევა ბათუმში, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის ბათუმის ფილიალში. კვლევა მოიცავს:
 - i. ფსიქიატრის კონსულტაციას;
 - ii. აუტიზმის სკრინინგის ჩატარებას;
 - iii. აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემის (ADOS) გამოყენებით შეფასებას;
 - iv. ბავშვის სმედიცინო მდგომარეობის დამადასტურებელი ფორმა IV-100/ა-ის გაცემას.
2. ბავშვისა და ოჯახის ბათუმში ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვა.
3. რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სპეციალისტების მომზადება ილიას სახ. უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტში.

II და შემდგომი ეტაპები - 2020 წლიდან ყოველწლიურად

1. აუტიზმის მქონე ბავშვთა რაოდენობის დაზუსტების შემდეგ მოხდება 2020 წლის მუნიციპალური პროგრამისთვის ადეკვატური ბიუჯეტის ფორმირება მინიმალური ცდომილებებით:
 - ა) ყოველწლიურად აუცილებელი აუტიზმის დიაგნოსტიკის ვაუჩერის ტიპებისა და რაოდენობის მიხედვით საჭირო თანხების განსაზღვრა და მუნიციპალურ ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება;

ბ) ერთი წლის განმავლობაში ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინება მუნიციპალურ ბიუჯეტში.

2. მუნიციპალური პროგრამის განხორციელების უწყვეტობის ხელშეწყობა;
3. აუტიზმის სტიგმის შემცირებისა და აუტიზმის მქონე ბენეფიციარების დროული გამოვლენის გაუმჯობესების მიზნით 2 აპრილის, აუტიზმის ინფორმირების მსოფლიო დღის აღნიშვნის ღონისძიებების ყოველწლიური დაგეგმვა-განხორციელება.

განხორციელების გზები

მომსახურების მიწოდების წესი

მუნიციპალიტეტი სატენდერო ფორმატით შეარჩევს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის - ნევროლოგი/ფსიქიატრი/პედიატრი/ოჯახის ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი და/ან სხვა - ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ბ) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ - ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით;

გ) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS, VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად).

რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მოსარგებლები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან გურიის მხარის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი;

პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი;

ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) გურიის მხარის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს:

ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების ღონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება;

ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს, 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ, 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ, 14 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ $\frac{3}{4}$. ამასთან, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში.

გ) ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება;

დ) 6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება.

ანგარიშგება

1. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს, ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია.

6.2. ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა).

6.3. შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.

შემდგომში, აღნიშნულ პროგრამაში იმავე პირობებით ჩაერთვება გურიის რეგიონში მცხოვრები ნებისმიერი ახალი ბენეფიციარი, რომელსაც დაუდასტურდება აუტიზმის დიაგნოზი, რაც ასახულია ფსიქიატრის მიერ გაცემულ ფორმა IV-100/ა-ში.

პროგრამით მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგები (საბაზისო და სამიზნე), რისკები და დაშვებები

პროგრამის საბოლოო შედეგი - 5 წლის შემდგომ	შედეგების ინდიკატორები (საბაზისო, სამიზნე)	დამადასტურებელი საბუთი	რისკები და დაშვებები
<p>1. აუტიზმზე საქველმოქმედო ბავშვების გამოვლენა დროულად ხდება ჰჯდ სპეციალისტების მიერ აუტიზმის სკრინინგ-ტესტის გამოყენებით;</p> <p>2. აუტიზმის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია იწყება ადრეულ ეტაპზე (სკოლამდელ ასაკში);</p> <p>3. დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის სერვისის მიწოდებისას დაცულია ლტოლვილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს დამტკიცებული დაავადებათა მართვის პროტოკოლის „აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა“ რეკომენდაციები.</p>	<p>პროგრამაში ჩართვიდან 5 წლის შემდგომ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აუტიზმის მქონე ბავშვთა 90% გამოვლენილია; 2. აუტიზმის მქონე ბავშვთა 90%-ისთვის ხელმისაწვდომია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისი. 3. ყველა ბენეფიციარი იღებს განათლებას სკოლამდელ და ზოგადადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. 4. ბენეფიციართა რთული ქცევის მართვა ხდება მსოფლიოში აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად და 90% შემთხვევაში ხდება რთული ქცევა ადევნებული პრევენცია. 	<p>• ბენეფიციარების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;</p> <p>• აუტიზმის დამადასტურებელი დიაგნოზის მქონე პირთა რაოდენობა;</p> <p>• პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;</p> <p>• სკოლამდელ და ზოგადადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აუტიზმის მქონე პირთა რაოდენობა.</p>	<p>რისკი:</p> <p>ა) სტოგმის გამო მდგომარეობის სიმძიმის დაფარვა;</p> <p>ბ) სკოლამდელი დაწესებულების მზაობის არქონა აუტიზმის მქონე ბავშვის ჯგუფში ჩასართავად;</p> <p>გ) ზოგადადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აუტიზმის მქონე ბავშვისთვის შესაბამისი გარემოს და სპეციალისტების არარსებობა.</p> <p>დაშვება:</p> <p>ა) აუტიზმის ინფორმირების მსოფლიო დღის აღნიშვნით სტოგმის შემცირების ხელშეწყობა;</p> <p>ბ) აუტიზმის რეაბილიტაციის პროგრამის სპეციალისტების საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალისტთა კონსულტირება და პროცესში ჩართულობა;</p>
<p>პროგრამის შუალედური შედეგი</p> <p>გურიის მხარის მუნიციპალიტეტში არსებობს აუტიზმის აუტიზმის დიაგნოსტიკის და აუტიზმის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამა, რომელიც ხორციელდება ლტოლვილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს დამტკიცებული დაავადებათა მართვის პროტოკოლის „აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა“ რეკომენდაციების დაცვით.</p>	<p>შედეგების ინდიკატორები (საბაზისო, სამიზნე)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მოხდა 20 ბავშვის აუტიზმის დიაგნოსტიკური შეფასება საბაზისო: 0 სამიზნე: 20 ○ აუტიზმის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულია 10 ბენეფიციარი. 	<p>დამადასტურებელი საბუთი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ჩატარებულ კონსულტაციებისა და კვლევების შედეგების დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია; ○ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა დოკუმენტაცია. 	<p>რისკები და დაშვებები</p> <p>რისკი: პროგრამით არ ისარგებლებს აუტიზმის მქონე პირების დაგეგმილი რაოდენობა.</p> <p>დაშვება:</p> <p>აუტიზმის მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ინფორმირების ამაღლების კამპანია ხელს შეუწყობს პროგრამის მოთხოვნის გაზრდას.</p>

პროგრამის ბიუჯეტი

სადიაგნოსტიკო და რეაბილიტაციის მომსახურების განფასება					
	ბენეფიციარის მომსახურება/ თვე	რაოდენობა	ერთეული	პროგრამის ხარჯი - თვე	პროგრამის ხარჯი - წელი (11 თვე)
რეაბილიტაციის პროგრამის ღირებულება: თვეში 20 სეანსი (1 სენსის ღირებულება - 20 ლ)	400 ლ	10	ბენეფიციარი	4000 ლ	
სულ					44 000 ლ
					44 000 ლ

ერთი საათის (20 ლარს) ღირებულების ჩამოლილი ხარჯი					
ABA თერაპიის ერთი საათის ღირებულების ჩამოლილი ხარჯი (ლარი)	ბენეფიციარის მომსახურების თერაპევტის ხარჯი საათში (ლარი)	ოფისის ქირის თანხა ერთ საათში (ლარი)	ბენეფიციარისთვის საჭირო გახარჯვადი განმავითარებელი მასალების ხარჯი საათში (ლარი)	კომუნალური გადასახადების ხარჯი (ელ. ენერჯია, წყალი, გაზი, ინტერნეტი, ტელეფონი)	პროგრამის ადმინისტრაციული ხარჯი (ღირექტორის, ბუღალტრის, პროექტის კოორდინატორის ხელფასი) (ლარი)
20	11,5	1,5	1	1,5	4,5
სულ					44 000 ლ